



რეგიონი
სტახილიზაციისკან
მიდის

B1



გადამლა, "მოკლა
სკამი" და ლიდარის
ფსიქოლოგია

B3



მადონა
გავშვებისთვის
აღარ დაწერს

B8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 10 ივნისი, 2005 წელი. №129 (989)

ფასი 50 თეთრი

ყურადღება!

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომლითაც უნდა შერჩეულიყო ყოველდღიური გაზეთი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ სატენდერო განცხადებების გამოსაქვეყნებლად, გაიმარჯვა გაზეთმა "24 საათმა".

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2005 წლის 11 მაისის N3 ბრძანების თანახმად, აღნიშნული ცვლილება შევიდა "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების შესახებ" საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2001 წლის 15 ოქტომბრის №1 ბრძანებაში.

შესაბამისი ხელშეკრულებების გასაფორმებლად და სხვა დეტალების დასაზუსტებლად გთხოვთ, დაუკავშირდეთ გაზეთ "24 საათი"-ს რედაქციას:

ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული.

ტელ: 202404; 202424; 200024; 8 99 220 949.

ელ-ფოსტა: tender@24hours.ge
საკონტაქტო პირი - ირაკლი ლეჟავა

იურიდიული ოფისი „გაპი“
და გაზეთი „24 საათი“

ანოცხილავან პრეზეს,
რომლის მიზანსა
ნაპოვანს
მოსახლეობისათვის
სამართლებრივი
დახმარება.

A7

აზიანი

	10/June	11/June	12/June
თბილისი	32	32	35
ქუთაისი	35	36	30
ბათუმი	33	34	24
სოხუმი	32	32	27
ფოთი	33	36	25
თელავი	31	30	34
ზუგდიდი	35	37	29
გორი	29	29	30
ახმეტა	31	31	35
ქიანთარა	32	32	31
ბაბრა	29	29	27
სამხრეთი	35	36	29

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი
ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8200
ევრო	2.2660
ბრიტანული სტერლინგი	3.3222
რუბლი	0.0640

A	B
აზიანი	ა2
აზიანი	ა3
საზოგადოება	ა4
უცხოური	ა5
კონსტიტუცია	ა6
სამართალი	ა7
თვალსაზრისი	ა8
რეგიონი	ბ2
სპორტი	ბ3
ტენდერი	ბ4
ტენდერი	ბ5
ტენდერი	ბ6
TV პროგრამა	ბ7
სხვადასხვა	ბ8

საქმე და სანახაობა თბილისის მერიისაგან

თამარ მკაბი

გუშინ, როდესაც თბილისის პრემიერი თემურ ქურხული მთავრობის სხდომაზე გზების საფარის აღდგენითი სამუშაოების წარმატებით მიმდინარეობასა და ტრანსპორტის ახალი ინფრასტრუქტურის მოწყობაზე საუბრობდა, დედაქალაქის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი "თბილისის კორპუსის" მიერ შეკეთებული სახლის სახურავზე მორიგ ბრიფინგს მართავდა.

მას შემდეგ, რაც მედიაში გზების საფარის აღდგენითი სამუშაოების შესყიდვის შესახებ ალაპარაკდნენ, ქალაქის მთავრობამ ჟურნალისტები მთავრობის სხდომაზე მიიწვია და სამოქმედო გეგმა გააცნო.

"ამ დღეებში მართლაც შეჩერდა გზების საფარის აღდგენითი სამუშაოები, თუმცა ეს გადაუღებელი წვიმების გამო მოხდა. ასეთ ამინდში ასფალტის დაგება შეუძლებელია. წლის ბოლომდე დაახლოებით 70 ქუჩა შეკეთდება, რასაც, სავარაუდოდ, 90 მილიონი ლარი დასჭირდება," – აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას ქალაქის პრემიერმა თემურ ქურხულმა.

გაგრძელება A2 გვერდზე



გლდანის მეოთხე მიკრორაიონის 23-ე კორპუსში მცხოვრებ ბავშვებს გუშინ თვითნებურად სახლის სახურავზე თბილისის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი გამოეცხადა.

გუშინ მთავრობის მადლოება ქართულ ცას

ოთარ ძირა

თბილისის აეროპორტის ასაფრენ ზოლის ძირს 70 მეტრის სიღრმის ბეტონის საძირკველი აშენდა. თუმცა, ეს მაინც არ არის ის, რაც უნდა იყოს. მიუხედავად ამისა და შოკადად იმისა, რომ ქართული ავიაციისთვის უკანასკნელი წლები არცთუ სასარგებლო, მეტიც, ზოგ შემთხვევაში, სისხლიანი იყო, როგორც იქნა, ჩვენს ფანჯრებში სინათლე გამოჩნდა. რატომ გაიზარდა დაინტერესება ქართულ ავიაბაზარზე, რატომ ეწევა ხოლმე ლამაზობით სააკაშვილი შენობებს, რომელთა მშენებლობა უცხოეთის სპეცსამსახურების მეთვალყურეობის ქვეშ მიმდინარეობს, რატომ გაივლიან ავღანელი ავიატორები სწავლებას საქართველოში და რა წერილი მიიღო გიორგი კარბელაშვილმა აშშ-დან?

ევროპის ახალი ხედავ

ნიკოლა ტანჯარი
ქართულ Le Banquet-ის
რედაქტორი

ევროკავშირის კონსტიტუციურ ხელშეკრულებაზე საფრანგეთის უარმა გაერთიანებაში საფრანგეთის 24 პარტნიორი-ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობა და ის სახელმწიფოები, რომლებიც ევროკავშირში გაერთიანებას ეწინააღმდეგებიან, მეტიც, შეაფოთა. პოლანდიელების "არა"-ს შემდეგ გაჩნდა იმის შიში, რომ ევროპული პროექტის მიმართ უნდობლობა გაიზარდებდა.

ამ არჩევანით ფრანგებმა ჩვენი მმართველი კლასის მიმართ პროტესტი და, ეკონომიკური პერსპექტივების გამო, შემოფოთება გამოხატეს. ეს იყო უბადრუკი და უპასუხისმგებლო, პანიკითა და სიბრაზით ნაკარნახევი არჩევანი.

ამომრჩეველებს გადაწყვეტილებაზე დიდი გავლენა მოახდინა იმ ფაქტმა, რომ ჩვენმა პოლიტიკოსებმა გარკვევით ვერ აუხსნეს მათ, თუ რა დადებითი შედეგები (კეთილდღეობა, კონკურენტუნარიანობა, სოციალური უზრუნველყოფა და, რა თქმა უნდა, მშვიდობა) მოაქვს ევროპელებისთვის ევროკავშირის. ძალიან ხშირად ისინი შეურაცხყოფენ ევროპას და ყველანაირ პრობლემას (როგორიც, მაგალითად, უმუშევრობაა) მას მიაწერენ. არადა, ეს საკითხები, სწორედ რომ, არაფერს უკეთესი საშინაო პოლიტიკის ბრალია.

გაგრძელება A5 გვერდზე



ეს იყო უბადრუკი და უპასუხისმგებლო, პანიკითა და სიბრაზით ნაკარნახევი არჩევანი.

ნადირობა მეცხავეაზა

სატყუო სექტორში, რომელიც აუღებელ ციხესიმაგრედ იქცა. ნადირობა დაინწყო. როგორ შეძლებს პაპუაშვილი ამ სფეროს დაღაგებას?

ოთარ ძირა

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ გამოვლენილია სატყუო დეპარტამენტის სისტემაში მომუშავე პასუხისმგებელი პირების მხრიდან დაშვებული მნიშვნელოვანი კანონდარღვევის ფაქტები. სამინისტროს ინფორმაციით, სატყუო მეურნეობის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის გიორგი გამცემლიძის მხრიდან ადგილი ჰქონდა სხვადასხვა მენარმეების მიერ უკანონოდ მოპოვებული 700 მ² ხე-ტყის არსებობის ფაქტის სამართალდამცავი ორგანოებისგან დაფარვას. მენარმეებზე არ იქნა დარიცხული 74 256 ლარის ოდენობის ჯარიმა. აღმოჩენილი დარღვევებისა და თანამდებობრივი უფლებამოსილების გადაშეშების გამო, გიორგი გამცემლიძე გათავისუფლებულია თანამდებობიდან, გამოვლენილი კანონდარღვევების მასალები შემდგომი რეაგირებისათვის სამართალდამცავ ორგანოებს გადაეცა. თანამდებობიდან გათავისუფლდნენ ამპროლაურისა და იმის სატყუო მეურნეობების დირექტორები გიორგი მარგველიძე და ბუჩან ყავლაშვილი.

გაგრძელება A4 გვერდზე

რკინიგზა მატ დამოუკიდებლობას ითხოვს

თეორ მამალაშვილი

იმ შემთხვევაში, თუკი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ შემუშავებული კანონპროექტს მოიწონებს, შპს "საქართველოს რკინიგზა" მგზავრთა გადაყვანას, ტვირთების, პარგის, ფოსტის გადაზიდვის ტარიფებსა და დამატებით საფასურებს დამოუკიდებლად შეიმუშავებს და დააწესებს. ამ საკანონმდებლო ინიციატივას დამოუკიდებელ ექსპერტთა ერთი ნაწილი დადებითად აფასებს, თავად პარლამენტარებს კი ამ ეტაპზე აზრის გამოთქმა ძალიან უჭირთ.

რკინიგზის დეპარტამენტის ეს ინიციატივა ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ თავიდანვე მოიწონა და კანონპროექტი "საქართველოს სარკინიგზო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე" თავადაც შეიმუშავა. ორი დღის წინ, სამინისტრომ სხეუბული კანონპროექტი მთავრობის სხდომაზე წარადგინა, სადაც ის დადებითად შეფასდა, გუშინ კი განსახილველად პარლამენტში გადაიგზავნა. ამასთანავე დაკავშირებით, გუშინვე, ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ლევან ალექსიშვილმა და შპს "საქართველოს რკინიგზა" გენერალურმა დირექტორმა დავით ონოფრიშვილმა სპეციალური ბრიფინგი მოაწყვეს, სადაც ითქვა, რომ დღემდე მოქმედი, რკინიგზის სატარიფო პოლიტიკა საკმაოდ მოძველებულია და ის არანაირ ეკონომიკურ გათვლებს არ ეფუძნება. მეტიც, ქართულ რკინიგზაში დღემდე საბჭოთა კავშირის დროინდელი სატარიფო სისტემა მოქმედებს, რომელიც სატვირთო გადაზიდვებზე ზედა ზღვრული ტარიფების არსებობას ითვალისწინებს. ეს კი, ონოფრიშვილის მტკიცებით, საბაზრო ეკონომიკისა და ძლიერი კონკურენტების (რუსეთისა და ირან-თურქეთის სარკინიგზო დერეფნების) არსებობის პირობებში, საქართველოს რკინიგზის წარმატებულ ფუნქციონირებას ხელს უშლის.

გაგრძელება A6 გვერდზე

თავდაცვის მინისტრთან შეხვედრა ბრიუსელში

9-10 ივნისს ბრიუსელში, ნატო-ს ევროატლანტიკური საბჭოს ეგიდით, თავდაცვის მინისტრების შეხვედრა მიმდინარეობს, რომელსაც საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილიც ესწრება.

შეხვედრაზე განიხილენ ნატო-ს წევრი ქვეყნების თანამშრომლობის პარტნიორ ქვეყნებთან, რომელიც თავდაცვის სფეროს რეფორმირებასა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას მოიცავს. საქართველოს თავდაცვის მინისტრი შეხვედრას გამართავს ნატო-ს გენერალურ მდივან იაპა დე ჰოოპ სხეფერთან. ოქრუაშვილი, აგ-

რეთვე, შეხვედრა ესტონელ კოლეგას. მინისტრები საქართველო-ესტონეთს შორის სამხედრო დარგში ორმხრივი თანამშრომლობის საკითხებს განიხილავენ. 13-17 ივნისს ირაკლი ოქრუაშვილი ბრიუსელიდან აშშ-ში გაემგზავრება, სადაც აშშ-ს თავდაცვის მდივან დონალდ რამსფელდსა და აშშ-ს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბების ხელმძღვანელ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას მოიცავს. საქართველოს თავდაცვის მინისტრი შეხვედრას გამართავს ნატო-ს გენერალურ მდივან იაპა დე ჰოოპ სხეფერთან. ოქრუაშვილი, აგ-

მედიანოუსი

საქარატივოსანი ახალ სახეადრო წვრთნას იწყებენ

აფხაზეთი ავგისტოში ფართომასშტაბიან სამტაბო-სამეთაურო სწავლებას ჩატარებს. ოფიციალური სოხუმის განცხადებით, სწავლება ქართულ-აფხაზური შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების შემდეგ ყველაზე ფართომასშტაბიანი იქნება. სწავლებაში 5 ათასი სამხედრო მოსამსახურე და რეზერვისტი მიიღებს მონაწილეობას. სწავლების მომზადების ფარგლებში, 14-16 ივნისს სოხუმში გაიმართება სამეთაურო შემად-

გენლობის ოპერატიულ-სამობილიზაციო შეკრება, რომელშიც პირველად მიიღებენ მონაწილეობას სარეზერვო ბრიგადების შტაბების მეთაურები და ხელმძღვანელები. წინა სწავლებაში, რომელიც აპრილში გაიმართა, 3 ათასამდე სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობდა. მაშინ მათ სწავლების სცენარის მიხედვით საზღვაო დესანტის პირებითი მონაწილეობა უნდა მოეგერიებინათ.

პრაიმ-ნოუსი

სს “კომპი სერვისი”
გთავაზობთ
 ფართოფორმატიან
 სრულფეროვან ბეჭდვას
300dpi და 1200dpi
 ტირაჟი - 1 ეგზემპლარიდან
 მინიმალური ზომა A4
 მაქსიმალური ზომა განუსაზღვრელი
 ქალაქი Glossy Photobase 150g

საქართველო, თბილისი 0119, ა.წერეთლის გამზ 117
 ტელ: (+995 32) 345610, ტელ/ფაქსი (+995 32) 912180
 E-mail: compi@gol.ge

შ.პ.ს. “აჭარის ენერგოკომპანია”, ფილიალების
ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, აცხადებს
აუდიტორული ფირმების შესარჩევ კონკურსს:
კომპანიას ესაჭიროება ფილიალების სალიკვიდაციო
ბალანსების შედგენა(კომპილაცია).
data.gogichaishvili@aec.ge

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა
და მის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ქვე-
დანაყოფების თანამშრომელთა მხრიდან თქვენი უფლე-
ბის შელახვის ან კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა შემ-
თხვევაში დავიკავშირდით სოფლის მეურნეობის
სამინისტროს ცხელ ხაზზე:
98-57-81

“საერთაშორისო იურიდიული ოფისი გაბი” აფუნებს
ფილიალს ქ. ბათუმში და აცხადებს კონკურსს ფილიალის
მენეჯერისა და ადვოკატის თანამდებობებზე.
პირობები:
 1. უმაღლესი იურიდიული განათლება;
 2. ადვოკატის სერტიფიკატი;
 3. ავტობიოგრაფია (CV);
 4. ასაკი 27 წლამდე;
 5. დაბასიათება უმაღლესი სასწავლებლიდან ან ბოლო სამუშაო ადგილიდან;
 6. ერთ-ერთი უცხო ენის ცოდნა.
საბუთების შემოტანის ვადაა 2005 წლის 15 ივნისამდე
შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, წერეთლის გამზ.: N77
“საერთაშორისო იურიდიული ოფისი გაბი”. ტ. 34 76 58

საქმი და სანახაობა თბილისის მერიის საბან

პირველი გავრცელება

მისივე თქმით, ამჟამად ქალაქში აღდგენითი სამუშაოებს 14 კომპანია ასრულებს და ახლო მომავალში კიდევ 20 ქუჩაზე გამოცხადდება ტენდერი.

მეტი დამაჯერებლობისთვის, თბილისის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსმა ტარიელ ხიზანეიშვილმა მთავრობის სხდომაზე სქემა წარადგინა, სადაც აღდგენილებით მიუთითა, თუ რამდენი ქუჩა შეკეთდება წელს და რა დაჯდება აღდგენითი სამუშაოები. როგორც აღმოჩნდა, თბილისში ყველაზე პრობლემური ადგილი გაგარინის ქუჩა და გამსახურდიას გამზირია, სადაც მიწისქვეშა კომუნიკაციები ათეული წლის განმავლობაში არ შეკეთებულა. ამ ქუჩების კომპლექსური მესწავლა, კომუნიკაციების გამოცვლა და გზის საფარის საფუძვლიანი შეკეთება მომავალი წლისთვის იგეგმება.

ქალაქის პრემიერის თქმით, გზის საფარის აღდგენითი სამუშაოებისთვის ტენდერი ამჯერად გაცხადებით ადრე გამოცხადდება, ვიდრე ეს აქამდე ხდებოდა. თუკი ამ იდეას საკრებულომაც დაუჭირა მხარი, 2006 წელს ჩასატარებელი სამუშაოებისთვის ტენდერი ოქტომბრის თვეში გამოცხადდება.

გუმბირელ სხდომაზე განხილული იყო საკითხი, რომელიც ბიუჯეტში ცვლილებების შეტანასა და წყალდიდობის შედეგად დაზარალებული ადამიანებისთვის ფულადი დახმარების გაცემას ითვალისწინებს. ქალაქის პრემიერის თქმით, წყალდიდობის შედეგად დაზარალებული ადამიანებს ბიუჯეტიდან ერთი მილიონი ლარი გამოეყოფა.

რაც შეეხება თბილისის ქუჩებში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწყობის სქემას, მისი განხორციელება სექტემბრის თვიდან იგეგმება. როგორც მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსმა, ზურაბ ჩიკილაძემ განაცხადა, ავგისტოში დაქალაქში 500 ახალ ავტობუსს ჩამოყვანენ.

“დღეს განხილული იყო მიკროავტობუსების ტენდერის პირობები, რომელიც ახლო მომავალში საკრებულოს გადაეცემა დასამტკიცებლად. ახალი სქემის მიხედვით, რუსთაველის, ჭავჭავაძის, ნერსიშვილის და აღმაშენებლის გამზირზე სამარშრუტო ტაქსების მოძრაობა მკვეთრად შეიზღუდება. მოხდება ცენტრალური ქუჩების განვითარება. სამარშრუტო ტაქსები, ძირითადად, მერტიდან გარეუბნებში იმართებენ. გარეუბნებში გადაინაცვლებს ტროლეიბუსებიც. რაც შეეხება ძველ ავტობუსებს, მათ რევიონებს გადაეცემა”, – განაცხადა ზურაბ ჩიკილაძემ.

ქალაქის პრემიერის თქმით, სამარშრუტო ტაქსების შემცირებას, შესაძლოა, მძღოლების გულსწყობა მოჰყვას, თუმცა ეს გარდაუვალი პროცესია. **“ჩვენ გვესმის ამ დამიანების და ვეცდებით, რომ რაიმე ალტერნატივა მოგვუწიონ, თუმცა ასე გავრძელება აღარ შეიძლება”,** – აღნიშნა ქურხულაძე.

გლდანის მეთოთხეტი მიკრორაიონის 23-ე კორპუსში მცხოვრებ ბავშვებს გუშინ თავიანთი სახლის სახურავზე თბილისის მერი ზურაბ ჩიკილაძე და მისი თანადამამთავრობის წევრები დასახვედრად გამოსულ

მოსახლეობას მერთან გაცილებით მეტი სათხოვარი ჰქონდა, ვიდრე სახურავის და ლიფტის შეკეთება.

“რამდენი ხანია, ჩემი შვილი უმუშევარია, არადა, ორი დიპლომი აქვს სახლში. მე პენსიონერი ვარ, იქნებ ცოტათივე ფულით მაინც დაგვეხმაროს მერია”, – ამ სათხოვართ და გამზადებული წერილი დახვდა ქალბატონი მანანა საპატიო სტუმარს. მის კერძო სათხოვარს სხვების შეუერთდნენ და ქალაქის მერს ბუნებრივი აირის გაყვანაში დახმარება სთხოვეს. მოსახლეობის თქმით, “თბილგაზი” ბუნებრივი აირის სახლამდე მიყვანაში მათ 350 ლარს სთხოვს, რისი საშუალებაც არ გააჩნიათ. მოსახლეობის ასევე პრეტენზიები ჰქონდა “თელასთან” და “თბილწყალკანალთან”. პრობლემების ჩამოთვლის შემდეგ, სამადლოელი სიტყვის დროც დადგა. ცხრასათრეოლიან სახლში 15 წლის განმავლობაში უფუნქციოდ დარჩენილი ლიფტის ამუშავებისთვის ზურაბ ჩიკილაძე შეიძლება მაღლობა და ქალბატონების თბილი სიტყვები დაიმსახურა.

“ნუ ელოდებით, რომ აუცილებლად მერი მოვა და ის გავიკეთებ ყველაფერს. მინდა, დიდი მაღლობა გითხრა, რადგან თქვენ პირველი გამოცხადურით მერიის ინიციატივას, სახლების სახურავებისა და ლიფტების ერთობლივი ძალებით შეკეთების შესახებ. თქვენ მიერ ჩამოყალიბებული ამხანაგობა ერთ-ერთი პირველია, სადაც სამუშაოები დასრულდა. თბილისში სულ 600 ამხანაგობა ჩამოყალიბდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამაღლად და მთავრად გამოეცხადათ. სტუმრის დასახვედრად გამოსულ

ბუზის მთავრობის მადლოება ქართულ ცას



გიორგი კარბელაშვილი “საქსტაქსი” პრეზენტაციას.

პირველი გავრცელება

ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ეს სფერო მთლად არ ნაუღია წყაღის და მეორე იმიტომ, რომ ძველი ჩინოვნიკებიდან ბევრი დღესაც პოპულარს საჭირო ადგილებში საჭირო კავშირებს და ამით თავისუფლებას ინანგრძლივებს. ასეთ შემთხვევასთან უშუალო შეხება მოვადაც მაქვს, გასული წლიდან, როცა “საქართველოსთვის” ყოფილმა ხელმძღვანელმა ალექსანდრე სილაგაძემ “24 საათს” სასამართლოში უჩილა. სილაგაძე, მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურაში მის საკმარისობასთან დაკავშირებით უამრავი საქმე აღძრულა, ჯერ თავს მშვიდად გრძობს ქვეყნის გარეთ. მეტიც, ის “საქმითი წარმატებით” ხელმძღვანელობს პერიოდულ კამპანიებს, სადაც, თვითონების გარდა, ხშირად საპროკურორის მთავრობასაც მიაღწევს ხოლმე. ეს კამპანიები მტკნოდ “საქართველოსთვის” სამეთვალყურეო საბჭოს ახალი თავმჯდომარის გიორგი კარბელაშვილისადმი პრადღებებს ეძღვნება.

თუმცა, ამის მიუხედავად, კარბელაშვილი საკადრო და სხვა რეზერვებს დღესაც განაგრძობს. არადა, სწორედ სილაგაძის და მისთანების ვაი-საქმიანობის შედეგია, რომ თბილისი ახლა ზრუნავს აეროპორტის მშენებლობაზე, ნავიგაციაში ახლა დანერგა ზრუნვა თანამედროვე სტანდარტების ასაფრენ-დასაფრენი ზოლის მშენებლობაზე. გერმანული “ლუფთჰანზა” მესამე უცხოური ავიაკომპანიაა, პოლანდიური სამეფო ავიანაზები-

სა და ბრიტანული ავიანაზების შემდეგ, ვინც საქართველოში ფრენის საშუალება გამოთქვა. პერეტრუბაციებს ელიან ქართული წარმოშობის ავიანაზებისთვის. როგორც იქნა, გადნება, რომ სექტემბრიდან საქართველო აღარ გადაიხდის ასიათასებს საავიაციო სფეროში მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვისთვის და სხვა მრავალი.

გუშინ, “საქართველოსთვის” ინიციატივით, ქართულ-ინგლისური ერთობლივი საწარმო (სასაავიაციო ცენტრი) დაფუძნდა – სახელწოდებით “საქსტაქსი”. სახელწოდება მომდინარეობს ინგლისური კომპანია ASTAC LTD-სა და სახელებიდან, რომელიც ქალაქ ბაზში მდებარეობს. მის მფლობელობაშია ცნობილი “რუდოლის კოლეჯი” და სწორედ ის ამზადებს საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციის სტანდარტების შესაბამის სპეციალისტებს ავიაციისა და ნავიგაციისთვის.

სასაავიაციო ცენტრი “საქართველოსთვის” კუთვნილი ახლად აშენებული შენობაში განთავსდება. სწორედ აქ სტუმრობისას შეიძლება ერთ-ერთი მუშისგან, რომ პრეზიდენტი შენობაში ხშირად სტუმრობს ხოლმე ამ მშენებლობას ლამაზობით. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ასეთი ნაგებობების მშენებლობას, ზოგადად, ქვეყნის შიდა და გარე სპეცსამსახურებიც ამოწმებენ, პრეზიდენტის ვიზიტები უცხოური არც უნდა იყოს. იმისათვის, რომ კვლავ და საძირკველში მოსასმენი მოწყობილობების, ე.წ. “ფურცეებისა” და მისი მსგავსი საჯარო მოსახ-



გიორგი კარბელაშვილი “საქსტაქსი” პრეზენტაციას.

სტუმრების ჩამონტაჟება არ მოხდეს, შენობის თითოეული გოჯი ძირფესვიანად მოწმდება.

სასაავიაციო ცენტრი არა მხოლოდ საქართველოსთვის არის ახალი, არამედ მთელი კავკასიისა და შუა აზიის დიდი ნაწილისთვისაც. როგორც “საქართველოსთვის” ამზადებენ, “საქსტაქსი” მომზადდება-გადამზადებს გაცილებით სპეციალისტები აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, თურქეთიდან, ირანიდან და ავღანეთიდანაც კი. ასეთი სწავლება იფიქრ არ ღირს. დღეს “საქართველოსთვის” ერთი კადრის გადამზადება კვირაში 1300 დოლარამდე უფდება. ხვალ, ამ თანხებს საქართველოს ბიუჯეტი მიიღებს. საპროკურორის მთავრობის მეთვალყურეობის მომზადება სპეციალური პროგრამებითა და სიმულაციური მანქანებით ხორციელდება, რაც მხოლოდ რამდენიმე სასაავიაციო ცენტრში ხდება.

ამ სასაავიაციო ცენტრის გახსნის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ ქართული ნავიგაცია უახლოეს მომავალში სერვისულ საკადრო დეფიციტს ელის. “საქართველოსთვის” სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის გიორგი კარბელაშვილის განცხადებით, “ესეც კორუფციული კონტროლის ერთ-ერთი მექანიზმი იყო. ასეთ პროგრამებში მხოლოდ ხელმძღვანელების შვილები ხდებოდნენ. შესაბამისად, ავიაციისა და ნავიგაციის საწარმო, საოჯახო და სამეცობრო კლანები ფლობდნენ. ეს დრო წავიდა და ამას ბუზის მთავრობის მადლობის წერილი მოჰყვება.”

ნავალი ჩვენი ვზოს და სახლის მოვლა, ნაკლები პრობლემები გვექნება ქალაქში. პროექტი, რომელსაც “თბილისის კორპუსი” ახორციელებს, ერთობლივ თანამშრომლობას გულისხმობს. თანხის 5 პროცენტს იხდის მოსახლეობა, დანარჩენს კი ავინანსებს მერია. რაკი ჩვენ ვხედავთ, რომ მოქალაქეები ამ პროცესს აქტიურად გამოეხმარებიან, ჩვენ მომავალი წლის ბიუჯეტში გაცხადებთ მეტ თანხას გავითვალისწინებთ. ქალაქის ინფრასტრუქტურაზე ფული უნდა დაიხარჯოს, მაგრამ მოქალაქეების გავლით,” – განაცხადა ჭიბერაშვილი.

ქალაქ თბილისის სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტერაქციის საქალაქო სამსახურს – “თბილისის კორპუსს”, რომელიც ამ პროექტს ახორციელებს, გუშინ ერთი წელი შეუსრულდა. “თბილისის კორპუსის” ხელმძღვანელის გიორგი კვლავის თქმით, მათ სამსახურში მარტის თვეში 17 განაცხადი იყო შემოსული, აპრილში – 100, ხოლო მაისში განაცხადების რაოდენობამ 200-ს მიაღწია.

“ჩვენი სამსახურის ფუნქცია ბიზნის მესაკუთრეთა ამხანაგობების ჩამოყალიბების პროცესისთვის ხელშეწყობა და დანტერესებული პირებისთვის სათანადო კონსულტაციების განვლა. ამ ეტაპზე “თბილისის კორპუსი” გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების GTZ ხელშეწყობით, “ბიზნის მესაკუთრეთა ამხანაგობისა და კონდომინიუმის შესახებ” კანონპროექტზე მუშაობს. ახლო მომავალში კანონპროექტი პარლამენტს წარედგინება,” – აღნიშნა კვლავი.

“ჩვენი სამსახურის ფუნქცია ბიზნის მესაკუთრეთა ამხანაგობების ჩამოყალიბების პროცესისთვის ხელშეწყობა და დანტერესებული პირებისთვის სათანადო კონსულტაციების განვლა. ამ ეტაპზე “თბილისის კორპუსი” გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების GTZ ხელშეწყობით, “ბიზნის მესაკუთრეთა ამხანაგობისა და კონდომინიუმის შესახებ” კანონპროექტზე მუშაობს. ახლო მომავალში კანონპროექტი პარლამენტს წარედგინება,” – აღნიშნა კვლავი.

ორი სიტყვით

თბილისი. კახეთის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულმა პეტრე ცისკარიშვილმა და რაიონების გამგებლებმა, თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობასთან ერთად, ყვარლის რაიონის სოფ. შაქრიაანის მიმდებარე ტერიტორიაზე ეროვნული გვარდიის რეზერვისტთა მოსამზადებელი ბაზა მოინახულეს. ბაზა კახეთის რეზერვისტებით დაკომპლექტდება. იგი სამ დღეში გაისწვება. **მედიანოუსი**

თბილისი. ოფიციალური თბილისი ცდილობს, საქართველოს საზღვაო საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთზე ტურისტებისა და დამკვეთების არასტანდარტული გადაადგილება აღმოვაჩინოს. “არსებობს ქვეყნის პრეზიდენტის 2004 წლის სპეციალური განკარგულება, რომლის თანახმადც, აფხაზეთის კონფლიქტის მონსტროგებაში, საზღვაო ნაოსნობა ამ ზონაში აკრძალულია,” – აცხადებენ საპროკურორის საგარეო საქმეთა სამინისტროში.

თავის მხრივ, აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობაში ირმუნებთან, რომ აფხაზეთის პორტებში შემსვლელთა უსაფრთხოების უზრუნველყოფას შეძლებენ. **მედიანოუსი**

თბილისი. შერეული სამშვიდობო ძალების გაერთიანებული შტაბის პრესსამსახურის განცხადებით, ტრანსკავკასიურ მაგისტრალზე საავტომობილო მიმოსვლა კვლავ შეზღუდულია. “სტანდარტული მენარჩუნების მიზნით, მიღებულია დამატებითი ზომები შერეული სამშვიდობო ძალების მიერ კონტროლირებად ზონაში. რეჟიმის გაზრდასთან დაკავშირებული ამახიარებულია ნაპირის მკვიდრთა გატაცებით,” – ნათქვამია განცხადებაში. **მედიანოუსი**

თბილისი. ფრაქცია “ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების” სხდომა დახურულ კარს მიიხა ჩატარდა. ფრაქციის შეკრების მიზეზი გახდა პარლამენტის დღევანდელი რიგგარეშე სხდომა, რომელზეც ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ კანონპროექტი უნდა განიხილონ. ფრაქციის სხდომას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოდიადელი და პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიგი უგულავაც ესწრებოდა. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ლიცენზირებასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა ბუნებრივი პროცესია, ამის შესახებ ფრაქცია მოილაპარაკებს და მიღებული იქნება გადაწყვეტილება. **ჯი-ეი-ენი**

სოხუმი. “ჩვენ ქართველების მტრები არ ვართ და მზად ვართ, საქართველოსთან ურთიერთობები სახელმწიფოთაშორის დონეზე წარმართოთ,” – აცხადებს აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პარლამენტის სპიკერი ნუგზარ აშუბა. მისივე თქმით, ეკონომიკური, პოლიტიკური და პუბლიცარული საკითხები ერთმანეთს გვერდგვერდ არ უნდა იხილებოდეს. **მედიანოუსი**

თბილისი. ცნობილი საქმეთა სამინისტროს მინისტრი, სამართალმცოდნეობაში ამილგის ლარის აბულაძე, რომელიც ყალბი პასპორტის გამოყენებით ცდილობდა საქართველოს საზღვრის გადაკვეთის სარფის გამგებ უზენაეს. სამსს იძიებს ხელფასურის შს განყოფილება. **მედიანოუსი**

თბილისი. ფინანსური პოლიციის იმერეთის სამმართველო ზესტაფონთან 5 000 კოლოფი უაქციზო სიგარეტის “ნოვოსტის” და “გაროის” გადამამუშავების ფაქტზე ჯუშუბერ ერთგვარ დააკავა. გიორგაძეს უაქციზო სიგარეტ “ოპოლეს” მარკის ავტომანქანით გადაჰქონდა. იგი დაპატიმრებულია და წინასწარი დაკავების საკანშია გადაყვანილი. გიორგაძეს 1-დან 3 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. **მედიანოუსი**

თბილისი. ფინანსური პოლიციის ქვემო ქართლის სამმართველო გარდაწნის რკინიგზის სადგურში შესულ ელმავალი კონტანაბრული ტანსაცმელი აღმოაჩინა. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარე ერთ-ერთი სააფრთხიდან რკინიგზის გადმოზიდულ ტვირთს რამდენიმე მუშაკი შეკრებულა და მათი ნივთიანა დაგინდვა. წინასწარი ინფორმაციით, ტანსაცმელი 70-80 ათასი ლარისაა. ტვირთი სპეციალურად მოწყობილ სამალაგებში ინახებოდა, რომელიც ბოსტნეულით იყო შენადილი. **მედიანოუსი**

ზობ დ. დულანეი
აშშ-ს სამხედრო საპროკურორის
გენერალ მაიორი.

1. *Journal of Management Studies*, 1997, 34, 1, 1-14.

გაფუჭებული სორსის შამოხანის ქიდავ ერთი მსდელიობა

საქართველო-რუსეთის საზღვარზე, ნეიტრალურ ტერიტორიაზე, გაფუჭებული ხორციით დატვირთული ორი სატვირთო მანქანა იმყოფება, რომელთა მფლობელებიც, ტვირთის რეალიზების მიზნით, საქართველოს ტერიტორიაზე მის შემოტანას ცდილობდნენ. ამის შესახებ „24 საათს“ მცხეთა-მთიანეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულის საინფორმაციო სამსახურში აცნობეს.

დაახლოებით ერთი თვის წინ, ყაზბეგის საბაჟოსთან, 600 ტონამდე ხორცმა, რომელიც 2004 წლის 29 სექტემბრიდან იყო ამ ტერიტორიაზე, ლპობა დაიწყო და ეპიდემიის საფრთხე შექმნა. რუსეთის მხარემ ამ ტვირთის მიღებაზე უარი განაცხადა. პრეზიდენტის რწმუნებულმა მცხეთა-მთიანეთის მხარეში ყველა ზომა მიიღო, რომ მომწამვლელ პროდუქციას საზღვარი არ გადმოეკვეთა – საქმის კურსში ჩააყენა პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელები. შეიქმნა სპეციალური კომისია, რომლის დასკვნა

24 საათი

შესწორება

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში "კონფლიქტის მოწესრიგებას პასუხისმგებლობის აღება სჭირდება" გაიპარა შეცდომა. მეორე აბზაცში პროექტის ერთ-ერთ ავტორად მოხსენიებული ხათუნა ჭაბაშვილის ნაცვლად უნდა იკითხებოდეს მაია ცაბოშვილი.

განცხადება

“2005 წლის 25 მაისს ხელშეკრულება გაფორმდა მთან-მინდა-კრწანისის რაიონის გამგეობის კუთვნილი ოთახების კომუნალური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე, თანხით -45667 ლარი”.

ზუგდიდის ქალაქის თვითმმართველობის
ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა
2005 წლის 12 აპრილს
გამოცხადებული
ლია ტანდარის შედეგების შესახებ

ზუგდიდის ქალაქის თვითმმართველობის მიერ, ქალაქის კეთილმოწყობის, გარე განათების ქსელის აღდგენისა და ქალაქის გამწვანების სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებულ ღია ტენდერში გამოვლინდა შემდეგი გამარჯვებულები:

1. ს/ს "ზუგდიდის კომუნალური მეურნეობის მრავალდარგოვანი გაერთივნება";
2. შ.პ.ს. "მ.გ.მ";
3. შ.პ.ს. "ჩაიბაია და კომპანია";
4. ინდ.სანარმო "თეა თორდია";
5. ინდ.მენარე "თეიმურაზ შამათავა";

რომლებთანაც "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად დაიდო ხელშეკრულებები

ზუგდიდის ქალაქის თვითმმართველობა

მისამართი: 2100, საქართველო, ზუგდიდი, ზ.გამსახურდიას გამ. N45
ტელ: (8215) 5-06-14; 5-02-43;

პირველი გავრცელება

მათ საქმეებსაც სამართალდამცავი ორგანოები შეისწავლიან. სისტემაში მიმდინარე შემონგებების შედეგად, თანამდებობიდან გათავისუფლდა სატყეო დეპარტამენტის 8 მაღალჩინოსანი და 18 სატყეო მეურნეობის დირექტორი.

გასული წლის განმავლობაში ხე-ტყის რესურსების მოპოვებაზე ნებაართვა გაცემულია 618 000 მ² ჭრის მოცულობაზე. დაფიქსირებულია 59 000 მ³ უნებართვო ჭრა, თუმცა რეალურად, უკანონოდ იჩეხებოდა გაცილებით მეტი რაოდენობის ხე-ტყე. მხოლოდ ბოლო ერთი თვის განმავლობაში სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურების მიერ გამოვლენილია ხე-ტყის უკანონოდ ჭრის ფაქტები, რამაც სახელმწიფოს 120 ათასი ლარის ზიანი მიაყენა (ამბროლაურის სატყეო მეურნეობაში - 55897 ლარი; ონის სატყეო მეურნეობაში - 7197 ლარი ; ვანის სატყეო მეურნეობაში - 56134 ლარი).

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობაზე კონტროლის გაძლიერების მიზნით, სამინისტრომ იქმნება გარემოსდაცვითი ინსპექცია, კანონპროექტი მოწონებულია მთავრობის მიერ და ამჟამად იგი პარლამენტში განიხილება.

„ჩვენ არ გვაქვს იმის ილუზია, რომ ყველაფერს გარემოს დაცვის სამინისტრო მოაგვარებს. ჩვენ დიდი მხარდაჭერა გვაქვს, ზოგადად, მთავრობისგან და სამართალდამცველებისგან. ამასთან, ჩვენ ამჟამად გარემოსდაცვით ინსპექტორატს ვქმნით. პროექტი უკვე დასამტკიცებლად არის წარდგენილი. ინსპექტორის ფუნქცია იქნება გარემოსდაცვითი დარღვევების დოქიტირება, აღკვეთა და სამართალდამცველებისთვის შესაბამისი პროცესილი ინფორმაციის მიწოდება. ეს იქნება მაღალანაზღაურებადი, მაგრამ დიდად საპასუხისმგებლო სამსახური. ინსპექტორები სამსახურის დაწყებამდე სერიოზულ წვრთ-

თამარ მაისურაძე

ლტოლივითა და განსახლების სამინისტრო წლევანდელი წყალდიდობებით დაზარალებული მოსახლეობისათვის საკომპენსაციო თანხების გაცემას იწყებს. დაზარალებულთათვის ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში საცხოვრებელი სახლების შეძენაც დაიწყო.

“თანების გაცემა ორშაბათი-

პირქო მთაწაძე

წელს თავდაცვის ეროვნულ (სამხედრო) აკადემიაში მისაღები გამოცდები არ ჩატარდება. ეს გადწყვეტილება თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობამ მიიღო.

როგორც სამინისტროს პრეს-სთან და საზოგადოებასთან ურ-

ნადირობა მთაწაწაწაწა



გიორგი პაპუაშვილი: ჩვენ არ გვაქვს იმის ილუზია, რომ ყველაფერს გარემოს დაცვის სამინისტრო მოაგვარებს.

ნებსა და სწავლებას გაიცლიან, – აცხადებს პაპუაშვილი.

ცნობილია, რომ საქართველოს მთავრობამ ნებადართულად გამოაცხადა 700 ათასი კუბური მეტრი ხის ჭრა, რასაც, რა თქმა

უნდა, თან ახლდა სახელმწიფოს მიერ ფიქსირებული შესაბამისი გადასახადი. თუმცა, არსებობს ინფორმაცია, რომ ოფიციალური გადასახადის მიღმა არსებობდა ე.წ. „მარცხენა სტავკა“ 10 აშშ

დოლარის ოდენობით ერთ კუბურ მეტრზე. ეს ის თანხაა, რომელიც შემდგომში მეტყვევებს, გამგებლებსა და შედარებით მაღალი ემელონების ჩინოვიკებზე ნაწილდებოდა. ანუ, მხოლოდ 700 ათასი

მოსახლეობისათვის ზარალის ანაზღაურება დაიწყო

დან დაიწყება. შესაძლოა, დაზარალებულთა რაოდენობა კიდევ გაიზარდოს, რადგან ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარმომადგენლები სტიქიით დაზარალებულ რაიონებში იმყოფებიან, სადაც დაზარალებულთა სიების გადამოწმება ხდება. 2005 წელს სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისთვის ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ წალკის, თეთრიწყარ-

ოს, ახმეტის, ხონის და ბოლნისის რაიონებში 96 საცხოვრებელი სახლი შეიძინა. გახარჯულია თანხა 493 ათას 709 ლარი შედგინა. ეს პროცესი საქართველოს სხვადასხვა რაიონში დღემდე მიდინარეობს. ზარალი დიდია. ისიც ფაქტია, რომ მყინვარების დნობა ჯერ არ დაწყებულა. ამდენად, წყალდიდობის სამიშროება კიდევ გველის,” – განაცხადა გუმინ სამინისტროში გამართულ

პრესკონფერენციაზე მინისტრმა ეთერ ასტემიროვამ.

წლევანდელი წყალდიდობების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად, „საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის 48-ე მუხლით, მიდამიგრაციულ პროცესებთან დაკავშირებული ხარჯებისთვის საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ორი მილიონი ლარი გამო-

ეყო. ამასთანავე, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 20 მაისის განკარგულებით, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 1 მილიონ 200 ათასი ლარი გაიცა. ეს უკანასკნელი სამეგრელოში, ქვემო სვანეთსა და იმერეთში დაზარალებულ, დაახლოებით 300 ოჯახს, 5-5 ათასი ლარის ოდენობით გადაეცა. რაც შეეხება რაჭა-ლეჩხუმის მთიანეთს, წყალდიდობის შედეგად 126 ოჯახშია დაზარალებული.

თავდაცვის ეროვნული აკადემია აბიტურიენტებს არ მიიღებს

თიერთობის სამსახურში “24 საათს” განუცხადეს, აკადემიაში მისაღები გამოცდების შეწყვეტა “სამხედრო უმაღლესი განათლების შესახებ კონცეფციის” მზადებას უკავშირდება. “დღევანდელი მონაცემებით, გაცილებით მეტი ოცმთაური გვყავს, ვიდრე საჭიროა. ამ ეტაპზე სამინისტროში მიმდინარეობს კონცეფციის

დამუშავება. როგორც კი კონცეფციაზე მუშაობა დასრულდება, მიღებული იქნება კონკრეტული გადაწყვეტილებები აკადემიაში მისაღებ კურსანტთა რაოდენობის შესახებ, ასევე განისაზღვრება სწავლის ხანგრძლივობა. კონცეფციის მიხედვით, ყველა დეტალი დაზუსტდება. მომდევნო წელს მიღება ჩვეულებრივ განა-

ხლდება,” – აცხადებს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი.

არსებობს ვერსია აკადემიის გაუქმების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ სამინისტრო საჭიროდ ჩათვლის აკადემიის გაუქმებას, ჩანაფიქრის განხორციელებას შეძლებს მხოლოდ ორი წლის შემდეგ, ანუ მას შემდეგ, როცა თავდაცვის ეროვნული აკადემია თურქულ მხარესთან ხე-

თწლიანი კონტრაქტით გაფორმებულ თანამშრომლობას დასრულებს. საქართველოსა და თურქეთის სახელმწიფოებს შორის სამი წლის წინ გაფორმდა ხელშეკრულება სამხედრო თანამშრომლობის შესახებ.

თავდაცვის სამინისტრო კულუარებში გაგრცელებულ ხმებს არ ადასტურებს და აცხადებს, რომ აკადემია არ გაუქმდება.

განცხადება საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის შესახებ სტრუქტურული რეფორმის მხარდაჭერის პროექტი

კრედიტი N 32640

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი, სტრუქტურული რეფორმის ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში, იხვევს გამოცდილ ადგილობრივ საკონსულტაციო ფირმებს გამოხატონ სურვილი მიიღონ მონაწილეობა შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის პროცედურებში:

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის რეფორმის შესახებ საზოგადოების ინფორმირების, განათლებისა და კომუნიკაციის ფართოდ ეროვნული კამპანიის წარმართვა

მომსახურების მიზანი:

(1) საზოგადოებრივი და სამედიცინო მომსახურების მომწოდებლების ცოდნის ამაღლება და მათი ინფორმირება ჯანდაცვის სფეროში არსებული რეფორმის მიზნებისა და მიმდინარეობის შესახებ;

(2) საინფორმაციო და მიზანმიმართული გზავნილების გამოყენება ბენეფიციარების გასათვითცნობიერებლად ჯანდაცვის რეფორმისადმი პოზიტიური დამოკიდებულების განვითარების მიზნით.

განსახორციელებელი სამუშაოები:

- საზოგადოებრივი აზრის შესწავლა სამიზნე ჯგუფების გამოკითხვის საფუძველზე;
- მიღებული მასალების გაანალიზება და შესაბამისი რეკომენდაციების წარმოდგენა საზოგადოების ინფორმირების, განათლებისა და კომუნიკაციის ფართოდ ეროვნული კამპანიის დახერგვის მიზნით;
- ცენტრის მიერ დაქირავებულ, სარეკლამო კამპანიის განმახორციე-

ლებელ, ფირმის მუშაობაზე ზედამხედველობა

საკონსულტაციო ფირმის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

1. ფირმას უნდა გააჩნდეს არანაკლებ 5 წლის გამოცდილება შესაბამის სფეროში, რომელიც მოიცავს: კომპლექსურ საკომუნიკაციო სტრატეგიის შექმნას; ჯანდაცვის სფეროში საზოგადოებრივი ცოდნის ამაღლების კამპანიის დახერგვას ფართო საზოგადოებრივ წრეებში სოციალური გზავნილების გამოყენებით; საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საზოგადოების ინფორმირების გამოცდილებას;
2. ფირმა უნდა იცნობდეს საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის არსებულ სისტემას.
3. ფირმას უნდა გააჩნდეს სამთავრობო და არასამთავრობო დაწესებულებებთან, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის ფართო გამოცდილება.
- სამუშაოების ხანგრძლივობაა 5 თვე.
- საკონსულტაციო ფირმა შერჩეული იქნება მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელოს მიხედვით: "დაქირავებულ კონსულტანტთა შერჩევა და სამუშაოზე აყვანა მსოფლიო ბანკისგან მსესხებლების მიერ", შესყიდვის მეთოდი - "შერჩევა საკონსულტაციო ფირმის კვალიფიკაციაზე დაყრდნობით", 1997 წლის იანვარი (შესწორება - 1997 წლის სექტემბერი და 1999 წლის იანვარი). დაინტერესებული პირები გამოგვცხმაურეთ წერილობით და ინტერესის გამოხატვის წერილს თან დაურთეთ:
1. მოკლე ინფორმაცია თქვენ ფირმაზე, ფირმის ფუნქციონალური შესა-

- ძლებლობების მითითებით;
2. ფირმის მიერ მსგავსი განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი საილუსტრაციო მასალების წარმოდგენით;
3. კამპანიის განსახორციელებელი საგარეულო სამუშაო გეგმა და მეთოდოლოგია
4. შესასყიდი მომსახურების განხორცილებაზე მომუშავე ჯგუფის შემადგენლობა და მუშაობის განაწილების სქემა თითოეული წევრის მიერ განსახორციელებელი სამუშაოების აღწერით.
5. ინფორმაცია ამ მომსახურების შესრულებისათვის გათვალისწინებული ძირითადი პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ (კვალიფიკაციისა და შესაბამისი გამოცდილების აღწერით - CVs).
- დაინტერესებულმა ფირმებმა ინტერესის წერილები უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 2005 წლის 20 ივნისის 17 საათისა შემდეგ მისამართზე: საკონტაქტო პირი: ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული.
- საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი ტელ/ფაქსი: +995 (32) 331934, 331839 ელ. ფოსტა: info@hpc.ge

სტუმრად დონ
პასკუალესთან



B2

გადადლა,
"მოკლა
სკამი" და
ლიდარის
ფსიქოლოგია



B3

"იანვრის
მდინარე"
"თიხისი
ბანკიდან"
აილო სათავე



B8

ნოზრის სტუმარი

რეგიონი სტაბილურიფაცრიისკენ მიდის

უბრალოდ, არ უნდა ავჩქარდეთ და სტრატეგიულ პარტნიორებთან სინქრონულად ვიმოქმედოთ

უკანასკნელი ჩვენი საუბარი იმ პერიოდს დაემთხვა, როდესაც გააქტიურებული იყო მაგისტრალური მილსადენების პრივატიზაციის თემა. ვცდილობდით, გავგერკვია, რით იყო მაშინ ჩვენი ხელისუფლება მოტივირებული, უცნაური აჩქარებით და რაღაც ფორმით მაინც გადაეცა ეს ენერგოლერძი რუსეთისთვის, რომელთანაც არც ახლა გვაქვს დალაგებული ურთიერთობა და რამდენიმე თვის წინ ხომ ვერაფერში ვპოულობდით საერთო ენას. "ტრანზიტის, ტრანსპარანტობის და რეგიონული ინტეგრაციის განვითარების" პროექტის აღმასრულებელი დირექტორის, ქალბატონ ლია ჯერვალდიის შემფოთება დღეს სხვაა. ახლა რუსეთის ბაზები გადის, ნატო-ც კმაყოფილია სამხედრო სფეროში ჩვენი ხელისუფლების მიდგომებით და ვარედან საქართველო ისეთი მიმზიდველი ჩანს, როგორც არასდროს, ერთგვარად გამყარდა ჩვენი სტატუსი იმ ტრანსნაციონალურ ენერგოპროექტებშიც, რომელიც ჩვენს ტერიტორიაზე გადის. თუმცა, პარალელურად ალბათ გაიზარდა და გეოგრაფიულად მრავალფეროვანი გახდა ის საფრთხეები, რაც ჩვენი ქვეყნის ინტერესებს ემუქრება. რა სიგნალებია ის, რისკენაც ცდილობს საზოგადოების ყურადღების მიპყრობას ენერგეტიკული საკითხების ექსპერტი?

მაია ჭალაბანიძე

- ერთგვარად მინელგებულია მაგისტრალური მილსადენის "გაზპრომისთვის" მიყიდვის თემა. რატომ, ეს აღარასოდეს დადგება დღის წესრიგში?

- მაგისტრალური მილსადენის მიმართ ინტერესი ნამდვილად იქნება იქამდე, ვიდრე ჩვენი ხელისუფლება ღიად ტოვებს ირანული გაზის ტრანზიტის შესაძლებლობის საკითხს. ასეთი პროექტი რუსეთის მხარის მონაწილეობის გარეშე არ იქნება, ვინაიდან რუსეთი ირანშიც და სომხეთის ენერგეტიკულ სექტორშიც მკვიდრად არის წარმოდგენილი. ირანული გაზის თემის უკან უკან აუცილებლად იქნება რუსული ინტერესი.

- დსთ-ს ქვეყნების მთავრობათა მეთაურების თბილისში გამართულ შეხვედრაზე სომხურმა მხარემ და კონკრეტულად სომეხმა პრემიერ-მინისტრმა კიდევ ერთხელ დაძაბა ირანული გაზის თემა, რაზეც ქართულმა მხარემ თქვა, რომ ამ პროექტით დაინტერესებულია...

- დიახ, ეს ქალბატონ ნინო ბურჯანაძესთან შეხვედრის დროს ითქვა. 2004 წლის ზაფხულიდან დაიწყო ირანი-თურქეთის მილსადენის მშენებლობა და სომხეთს ძალიან სურს, როგორღაც ჩაერთოს ისეთ საერთაშორისო პროექტში, რომელიც რეგიონში მის როლს უფრო მეტ სტატუსს მანიჭებს, ვიდრე მას დღეს აქვს. მოგვსენებათ, ამ ქვეყანას ყველა სატრანზიტო პროექტმა გვერდი აუარა. აქედან გამომდინარე, სომხეთის ინტერესები სრულიად გასაგებია.

ამ მიმართულებით რუსეთის ინტერესებაც გასაგებია, რადგან რუსეთს სურს ჩამოყალიბდეს ჩრდილოეთ-სამხრეთის, ანუ რუსეთ-სომხეთ-ირანის ჯაჭვი და ამ ჯაჭვში საქართველოს რგოლი აკლია. ამის გარეშე კი ჯაჭვი ვერ შეიკმება. რუსეთის, სომხეთისა და ირანის თანამშრომლობას ამჟამად ორი ძალიან მნიშვნელოვანი მხარე გააჩნია. პირველი ბირთვული კომპონენტია - რუსეთის დამფინანსებელი და დამპროექტებელია იმ ბირთვული პროექტებისა, რომელიც ირანში მიდის. გარდა ამისა, სომხეთის რეაქტორს ის აწვდის საწვავს. ეს კომპონენტები ამ ქვეყნებს ძალიან კრავს და თუ ამას გაზის თემაც დაემატება, ეს ჯაჭვი განმტკიცდება.

- კონკრეტულად, სად იმალება სამიშროება ირანული გაზის თემაში?

- ამაში თავისთავად ცუდი არაფერი უნდა იყოს, თუ გაზი არა რუსეთის გავლით, არამედ

ოფშორულად - ანაკლიიდან უკრაინამდე გავა. ასეთი მილსადენი უკრაინის გაზით მომარაგებით დივერსიფიცირებას მოახდენდა და დამოკიდებული აღარ იქნებოდა მხოლოდ რუსულ გაზზე, რადგან ოფშორულად, წყალში გამავალი მილი გვერდს აუღლიდა რუსეთის ინფრასტრუქტურას. ასეთი პროექტი ნამდვილად არ იქნებოდა ცუდი ჩვენთვის.

მოგვხსენებთ, ირანში სულ მალე საპრეზიდენტო არჩევნებია დანიშნული. ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, თუ როგორ წარმართება ამ ქვეყნის შიდა პოლიტიკური მოვლენები. ამაზე ბევრად არის დამოკიდებული კავკასიაზე გამავალი ის სატრანზიტო თემები, რომელიც შეიძლება ირანის გაზს დაუკავშირდეს.

- ამ საკითხებში ჩვენი ხელისუფლება პასიურობს თუ აქტიურობს?

- ამ შემთხვევაში ხელისუფლების პასიურობა უფრო სწორი იქნებოდა. მე პირიქით, ზედმეტი აქტიურობა მანუხებს. აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკულ კორიდორში ღერძული სახელმწიფო ვართ და მრავალი წელია, რაც ამ კორიდორში ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებთან - აზერბაიჯანთან და თურქეთთან ერთად ვმუშაობთ. მიმაჩნია, რომ ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულებით ჩვენი გააქტიურება დღეს მიზანშეწონილი არ იქნებოდა. აზერბაიჯანი სომხეთის დიდ რეგიონულ პროექტებში ჩართვის კატეგორიული წინააღმდეგია, რადგან ეს განაპირობებს სომხეთის პოზიციას და ყარაბახის საკითხის მოგვარებას ხელს შეუშლის. ყარაბახის საკითხზე ახლა ინტენსიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს და ამის მოგვარებას ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის საკითხიც უკავშირდება, რადგანაც ყარაბახის საკითხის ვერგადაჭრა ჩვენი შიდა კონფლიქტებისთვის ცუდი პრეცედენტი იქნებოდა. ჩვენთვის კი ამ ეტაპზე, ყველაზე მნიშვნელოვანი ტერიტორიული მთლიანობის საკითხების მოგვარებაა. თუ პროცესები სწორი გზით წავა, შეიძლება, ირანული გაზის ერთი შტო აუცილებლად წამოვიდეს ჩვენს მხარეს. სანამ ყარაბახის საკითხის ფორსირება არ მოხდება (აზერბაიჯანულ-სომხური მხარეები ახლა იმედისმოცემე ფაზაში გადავიდნენ), მიმაჩნია, რომ ამ თემის გააქტიურებისგან მეტი თავშეკავება გვმართებს. ამ თემის ფორსირება ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების ინტერესების გათვალისწინების გარეშე მათთან ურთიერთობას გავეზოვრებოთ, არ უნდა გავაქტიუ-



ფუჭებს, რაც ინსპირირებული კონფლიქტების მოგვარების საქმეში შეიძლება, ჩვენთვისაც საზიანო აღმოჩნდეს.

- "გაზპრომისთვის" მილსადენის მიყიდვის თემაზე ხან ყველა ლაპარაკობს, ხან არაეინ. ახლა ეს უკანასკნელი სტადია. რა ლოგიკურ ჯაჭვს ხედავთ ამაში?

- ეს თემა იმიტომ არის მინელგებული, რომ ამერიკის შეერთებული შტატებმა მკვეთრი რეაქცია მისცა და თქვა, რომ ჩვენი ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვის აუცილებელია, მილსადენების ინფრასტრუქტურა ისეთივე სტატუსით დარჩეს, როგორიც ახლაა.

მეორე მხრივ, სომხეთთან ჩვენი დამაკავშირებელი მილსადენისადმი რუსეთის ინტერესი მუდმივი და ძალიან დიდია. მილი, რომელიც ირანიდან შემოდის, რუსეთის თანხმობით, ხელშეწყობით და ნაწილობრივ დაფინანსებით შენდება. თუ ეს მილი საფურცელზე დგება, ირანიდან შემომავალი გაზი რუსულ უფრასტრუქტურას გაივლის, რაც უკრაინის დივერსიფიცირების ვარიანტს გამოირიცხავს.

ნამდვილად არ ვარ ჩახედული სახელისუფლო სამხარეულში. ალბათ, ისინიც ფიქრობენ ამგვარ საკითხებზე...

- ერთ ხანს აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის ურთიერთობის გაცივება შეინიშნებოდა. რას მიაწერთ ამას?

- მახსოვს და ამის უკან მხოლოდ სომხეთში არალეგალური ტვირთების გადატანა არ იყო. რეალურად ეს საქართველო-ირან-სომხეთის მოლაპარაკებების პროცესში ჩართვის კატეგორიული წინააღმდეგია. მიმაჩნია, რომ ირანის გაზთან დაკავშირებით ჩვენი, ჯერჯერობით, არ უნდა გავაქტიუ-

რდეთ, რადგან ევროკავშირის გაზზე მოთხოვნის გაზრდა 2010 წლის შემდეგ იწყება. ჩვენგან ეს მხოლოდ დიპლომატიური აქტიურობის საგანი უნდა იყოს და დასავლეთთან სინქრონულად, ძალიან ნელი ნაბიჯებით უნდა მივიღო.

- ირანის გაზის ალტერნატიული გზით მიღების თქვენულ და ხელისუფლების კონცეფციებს შორის რა არსებითი განსხვავებაა?

- ენერგეტიკის სამინისტროს პოზიცია დაახლოებით, ორი თვის წინ გაცხადდა, როდესაც "მარიოტში" ენერგოუსაფრთხოების თემაზე კონფერენცია ჩატარდა. ნიკა გილაურმა საქართველოს გაზით მომარაგების დივერსიფიცირების მათ მიერ გათვლილი ვარიანტები წარმოადგინა, მე ჩემი კონტრარგუმენტები მქონდა.

როგორც ჩანს, ხელისუფლებას შესაძლებლად მიაჩნია ირანიდან გაზის შემოტანა. სომხეთი ამ მილის შემოსვლით მხოლოდ იმ შემთხვევაში დაინტერესებული, თუ მილს საერთაშორისო ტრანზიტის სტატუსი ექნება და ეს ნამდვილად არ ნიშნავს საქართველოს ენერგოდივერსიფიცირებაზე ზრუნვას, რადგან სომხეთს გაზის მიღება რუსეთისგანაც სურს და ირანიც სანაც.

- საუბარში რისკებიც ახსენეთ...

- არ ვიცი, როგორ თვლის ჩვენი ხელისუფლება ამ თემასთან დაკავშირებულ რისკებს. ჩემი აზრით, ეს იქნება რუსეთ-სომხეთ-ირანის ჯაჭვი და არა ირან-სომხეთ-საქართველო-უკრაინის ჯაჭვი. ამაში დიდი განსხვავებაა.

- კონკრეტულად რა შეიძლება მოჰყვას ამ საფრთხეს?

- ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც შეიძლება ამას მოჰყვას, უკვე არსებული სტრატეგიული თანამშრომლობის დარღვევაა.

- რუსეთთან ისეთი საკითხის გადაწყვეტა მოხერხდა, როგორიც სამხედრო ბაზების გაყვანა...

- როგორც ჩანს, ერთადერ-

თი, რაც შეიძლება რუსეთს აინტერესებდეს, ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულების გაძლიერება და ამით საკუთარი გავლენის გაძლიერებაა. ჩემი აზრით, ეს დაარღვევს იმ პარტნიორობას, რომელიც დასავლეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით არსებობს.

როგორც ვიცით, შემოდგომაზე ჯეიჰანის ნავთობის ტანკერები უნდა დაიჭვიროს. ამგვარი პროექტების ფინალურ ფაზაში შესვლა ხელისუფლების გამგელობას აძლევს, ნაბიჯებიც სხვა მიმართულებითაც გადაგვას. პრინციპში, ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულების პროექტში ჩვენი ჩართვით (უფრო აზერბაიჯანის მოხდება, მაგრამ, უბრალოდ, ეს არც ჩვენი ინიციატივით და არც ფორსირებულად არ უნდა ხდებოდეს).

- თქვენ მიერ დასახელებულ ორ მიმართულებას შორის როგორ უნდა დაიჭიროს თავი საქართველომ, რომ არც ჩვენი ინტერესები შეილახოს, არც პარტნიორებთან გავეფუჭდეს ურთიერთობა და ორი დიდი პროექტიდანაც მაქსიმალური მოგება ნახოს?

- ერთი მიმართულება უკვე ცნობილია და ეს უნდა შევინარჩუნოთ. ახალი ინიციატივებით აუცილებლად უნდა გამოვიდეთ. შეთანხმებულ პარტნიორებთან ერთად თურქეთსა და აზერბაიჯანს არ ვგულისხმობ, აშშ-სა და ევროკავშირსაც ვგულისხმობ, რომელიც რეგიონიდან ალტერნატიული გაზის მიღებით უშუალოდ არის დაინტერესებული.

- ჩვენი ენერგეტიკულ პროცესებსაც შევხებით, როგორი იქნება შემდეგი ზამთარი?

- ის პრეზენტაცია, რაც ბატონმა გილაურმა პარლამენტში გააკეთა, საფუძველს მაძლევს, რაც შეიძლება ამას მოჰყვას, უკვე არსებული სტრატეგიული თანამშრომლობის დარღვევაა.

დამოკიდებული.

მაგრამ, ხელისუფლებისგან განსხვავებით, ნადვილად ვერ ვხედავ გაზის მიღების ალტერნატიულ გზას, ვიდრე ბატონთბილისი-ერზერუმი არ ამოქმედდება. გილაურმა თქვა, რომ მოლაპარაკებებს ანარმობენ ალტერნატიულ მომწოდებლებთან, მაგრამ არ ვიცი, ვინ არიან ისინი.

- ამ ბოლო დროს, ენგურშის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, გახშირდა ენერგეტიკოსთა ვიზიტები ფაზაზე. რადგანაც შეუშალის ხელი რუსეთმა ამ ურთიერთობების დარეგულირებას?

- მინდა ვიფიქრო, რომ კონფორტაციული ფაზიდან გამოვედით. ომიდან 11 წელი გავიდა და აფხაზეთიც უფრო მეტად თანამშრომლობაზე უნდა ფიქრობდნენ. ომისკენ და ესკალაციისკენ უკან მიზრუნება არავის უნდა.

რაც შეეხება რუსეთისგან ხელის შეშლას - საერთაშორისო პროცესები ისე მიდის, რომ ცალკეული ქვეყანა დამოუკიდებლად, გადაწყვეტილებებს ვერც ერთი მიმართულებით აუცილებლად უნდა გამოიყენოს იტებსა და პარტიკულად არა და მოიხმოს. ჩვენს ქვეყნებში, რომლებიც ჩვენზე გამავალი საერთაშორისო ენერგოპროექტებზე არიან დამოკიდებული, ახალ ესკალაციას არ დაუშვებენ. უბრალოდ, პროცესებს უნდა მივყვეთ.

- ჩვენს წინა ინტერვიუში უფრო უიმედოდ იყავით განწყობილი...

- დიახ, რადგან მაგისტრალური მილსადენების რუსეთისთვის გადაცემის ესკალაცია ფორსირებულად მიმდინარეობდა. მაგისტრალური მილსადენი მხოლოდ ჩრდილოეთ-სამხრეთის დამაკავშირებელი არ არის. მიმაჩნია, რომ ერთი მონოპოლიური, უცხო სახელმწიფო, რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს ის, ამ შეიძლება შენი ენერგოლერძის მფლობელი იყოს.

სანამ ყარაბახის საკითხის ფორსირება არ მოხდება, ირანული გაზის თემის გააქტიურებისგან მეტი თავშეკავება გვმართებს.

მინდა ვიფიქრო, რომ კონფორტაციული ფაზიდან გამოვედით. ომიდან 11 წელი გავიდა და აფხაზეთიც უფრო მეტად თანამშრომლობაზე უნდა ფიქრობდნენ. ომისკენ და ესკალაციისკენ უკან მიზრუნება არავის უნდა.

ერთი მონოპოლიური, უცხო სახელმწიფო, რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს ის, ამ შეიძლება შენი ენერგოლერძის მფლობელი იყოს. მით უფრო, თუ ამ ქვეყანასთან ცხინვალისა და აფხაზეთის გამო კონფორტაცია გაქვს.

მით უფრო, თუ ამ ქვეყანასთან ცხინვალისა და აფხაზეთის გამო კონფორტაცია გაქვს.

- დარწმუნ თუ არა ხელისუფლებაში ადამიანები, ვინც "გაზპრომისთვის" მაგისტრალური მილსადენის გადაცემას ლობობდნენ?

- ასეთი ადამიანები, რასაკვირველია, არსებობენ. ყველაზე მეტად რაც მაშფოთებს, არის ის, რომ შეიძლება, ჯავახეთი მილის საკითხის ფორსირებისთვის სომხეთმა ბერკეტად გამოიყენოს. და არა მხოლოდ სომხეთმა, არამედ საქარველოს ხელისუფლების იმ წარმომადგენლებიც, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ და არიან ირანული გაზის ტრანზიტით. შეიძლება, ამ ორი ძალის ინტერესები ერთმანეთს დაემთხვას.

- რამდენად გავლენიანია ეს ჯგუფი?

- აუცილებლად გავლენიანი იქნება, რადგან ტრანზიტის ფულის სერიოზულ ნაკადებს წარმოშობს. ირანული ტრანზიტის და ჯავახეთის თემა ფრანგების პუბლიკაციებშიც წამოიწია. როგორც ჩანს, ამ თემის გააქტიურება იწყება. არ გამოირიცხავს, რომ ის ჯგუფები, რომლებიც ჩრდილოეთ-სამხრეთის ჯაჭვის გაძლიერებით და საქართველოს ამ ჯაჭვში ჩართვით არიან დაინტერესებული, ამ პროცესების უკან მოიაზრებოდნენ. ეს არის, რაც მე მაშფოთებს.

- ჩვენს ხელისუფლებაში ხედავთ ამ საფრთხის თავიდან აცილების რესურსებს?

- კარგად არ ვიცნობ ჩვენი ხელისუფლების რესურსებს და ვერაფერს გეტყვით. ქვეყნის ბედით მართლა დაინტერესებულ რამდენიმე ადამიანს ვხედავ, მაგრამ რამდენად ხედავენ ამ პრობლემატიკას ამ ქრითში, ამის შესახებ არაფერი ვიცი. კონკრეტულად ამ ადამიანების დასახელება არ მინდა, რადგან მათთან შეხება არ მაქვს, უბრალოდ, ასე ვხედავ, როგორც ექსპერტი. ამ თემის წამოწევა მინდა საზოგადოების ყურადღება ამ შესაძლო საფრთხის მივაპყრო.

წიგნი კაპაბაძის სვამი

ახალი, პრიალა სნოუები



ეპოქა (პერიოდს უფრო დაეარქმევდი), რომელშიც არსებობა გვინცეს, ნამდვილად გარდამავალია. დღევანდელ დღეს ნამდვილად ყალიბდება ახალი ფასეულობები და გარკვეულწილად ახლებური ცნობიერებაც. ცხადია, ამ პატარა სევეტში მთელ ამ გარდამავალ ეპოქას ვერ ჩაეტევთ და ძალიან ზოგადიც რომ არ გამოვიდეს, მეტ-ნაკლებად საჭირო რაზმდენიმე ასპექტზე გაავიზიებლეს ყურადღებას. საზოგადოებრივი ცნობიერება და ახალი საზოგადოებრივი პრიორიტეტები თუ ტენდენციები. მას შემდეგ, რაც თავისუფალმა საქართველომ არსებობა დაიწყო, 90-იანი წლების დასაწყისში, ჩვენითვის ბევრი "უცხო ხილი" უკვე ნაცნობი გახდა; მაგალითად, "პაპას" მუსიკა და ესტრადის პოპულარული მომღერლები, ყვითელი პრესა და მასში მოთხრობილი "საინტერესო" ისტორიები, სატელევიზიო თუ ქუჩის რეკლამები, სექსი, რომელიც საზოგადოებამ ნაწილობრივ ალიარა, როგორც ადამიანური ღირსეობა და არა ცხოველური გახრწნილება და ა.შ და ა.შ. ამ შემთხვევაში საინტერესოა და შევეცდები დაკვირვების შედეგად საზოგადოებაში არსებული ტენდენციები, უბრალოდ, გამოვიყ. ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიურ კვლევაზე, ბუნებრივია, პრეტენზიას არ ვაცხადებ.

საზოგადოება "ქართული საზოგადოებისთვის" დაყოფილია რამდენიმე ნაწილად (ის, რაც ხილულაა: "ინტელექტუალები", "სევტსკები", "ანდერგრაუნდი", "ელიტა", "გოიმები", შესაძლია, რომელიმე მათგანი გამომჩრქეს, მაგრამ "კლანების" ძირითადი ჩამონათვლი ამგვარია. "გოიმები" - ეს ძირითადად სოციალურად გაჭირვებული, დაბალი ფენა, რომელიც ყოველთვის ყველასგან მიტოვებულია; როგორც სახელმწიფო არ ფიქრობს მათი ყოფის გაუმჯობესებაზე, ასევე არ ცდილობს საზოგადოება მათთან ინტეგრაციას, ანუ მათი კულტურული შესაძლებლობების თუ შეხედულებების ამაღლებას. "ინტელექტუალები" და "ანდერგრაუნდი" არასდროს მოხვედრილან იმ მახეში, რასაც ყვითელი პრესის ფურცლებზე გამოჩენის სურვილი, ქართული ესტრადის კონცერტებზე სიარული ჰქვია. "გოიმებმა" და "სევტსკი ელიტამ" კი ამ "ცოდებაში" ფეხი ჩადგეს. ქართულ ესტრადასა და ყვითელ პრესაში ალბათ ყველა ის მაშინდელი მოღერი ტენდენციაა უნდა ვიგულისხმოთ, რომელიც იმხანად იყო. "ანდერგრაუნდი" მაშინ მართლაც მინისქვე-შეთში იყო ჩამავალი და არ ცნობდა არც ერთ "ქართულ სახელეს", "ინტელექტუალები" კი ხმამაღლა აკრიტიკებდნ და ზემოდად დაპყრებდნენ ჩვენითვის ამ ახალ ინტერესებს (ესტრადა, პრესა, პოპულარობა...)

